



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 422/ს  
28/10/2022

422-21-4-202210281408



**სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხორშის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ჯორჯიან ენერჯი გრუპის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ჯორჯიან ენერჯი გრუპის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხორშის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხორშის მიმდებარე ტერიტორიაზე ლიცენზირებული ტერიტორიის ფარგლებში 51 360 მ<sup>2</sup> ფართობის (5.13 ჰა) მქონე მიწის ნაკვეთზე, რომელსაც კომპანია ფლობს დროებით სარგებლობაში. აღნიშნული ლიცენზირებული ტერიტორიიდან ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი მობილური ტიპის დანადგარის განთავსება მოხდება 50 მ<sup>2</sup> ფართობზე. დანადგარის განთავსება დაგეგმილია დროებით - 12 თვის ვადით. საწარმოს განთავსების GPS კოორდინატებია: X - 746167.00; Y - 4694850.00. უახლოესი საცხოვრებელი სახლი, სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარიდან მდებარეობს დაახლოებით 940 მ-ში. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. ხობისწყალი მიედინება დანადგარის განთავსების წერტილიდან დაახლოებით 70 მ-ში. სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარიდან დაახლოებით 800 მ-ში განთავსებულია შპს „ინერტული მასალების“ საკუთრებაში არსებული ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი დანადგარი. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ დანადგარის განთავსებიდან დაახლოებით 430 მ-ში მდებარეობს სახელმწიფო ტყე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოსთვის გათვალისწინებული მობილური ტიპის დანადგარი (Metso Outotec Lokotrack LT106, NORDBERG C106), აღჭურვილი იქნება ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის სათანადო კომპლექტაციით, რომლის შემადგენლობაში შევა: მიმღები ბუნკერი, სამსხვრევი დანადგარი (ერთჯერადი მსხვრევითვის), ლენტური ტრანსპორტიორი და მიღებული პროდუქციის განთავსების ღია სასაწყობო მოედანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია დღეში 500 მ<sup>3</sup> (62,5 მ<sup>3</sup>/სთ-ში) ინერტული მასალის გადამამუშავება, რაც საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, წელიწადში შეადგენს 144 000 მ<sup>3</sup>-ს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო იმუშავებს წელიწადში 288 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საწარმოში დასაქმებული იქნება 10

ადამიანი. საწარმოში წარმოებული პროდუქციის გატანა მოხდება სამუშაო საათებში, დღის განმავლობაში და განხორციელდება დაახლოებით 15–20 სატრანსპორტო ოპერაცია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესი იწყება სამსხვრევი დანადგარის განთავსების ადგილზე ლიცენზირებული კარიერიდან მოპოვებული მასალის ავტოთვითმცლელით შემოზიდვით, რომელიც შემდგომ განთავსდება ჩასატვირთი ბუნკერის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის შემდეგაც მუხლუხა ექსკავატორის დახმარებით გადავა ჩასატვირთ ბუნკერში. შემდეგ ინერტული მასალა მიეწოდება სამსხვრევს, სადაც მოხდება მისი უხეშად დამსხვრევა სხვადასხვა ზომის ფრაქციებად (40-70 მმ). დამსხვრევა განხორციელდება სველი მეთოდით, კერძოდ მსხვრევის დროს მოხდება ინერტული მასალის დანამვა სპეციალური დასანამი მოწყობილობით, რომელიც დამონტაჟებული იქნება სამსხვრევ დანადგარზე. დამსხვრეული მასა ლენტური ტრანსპორტიორის მეშვეობით გადავა პროდუქციისთვის განკუთვნილ ღია სასაწყობო ტერიტორიაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოსთვის გათვალისწინებული მობილური ტიპის სამსხვრევი დანადგარი მუშაობს დიზელის საწვავზე, რისთვისაც დანადგარს გააჩნია დაახლოებით 630 ლიტრი ტევადობის ავზი. დანადგარი დღეში მოიხმარს დაახლოებით 200 ლიტრ დიზელის საწვავს. სამსხვრევი დანადგარის საწვავით მომარაგება მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, ყოველ 3–4 დღეში ერთხელ. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის მოხრეშვა, შესაბამისად ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში მოხდება დაბინძურებული ხრემოვანი ფენის მოხსნა და ტერიტორიიდან გატანა, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ. რაც შეეხება სატვირთო ავტომანქანებს, მათი გამართვა მოხდება ქალაქში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელი და საწარმოო მიზნებისთვის. საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ჩამოსხმული (ბუტილირებული) სახით, ხოლო საწარმოო მიზნით წყალაღება მოხდება მდ. ხობისწყლიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X - 746244.00; Y - 4694811.00. მდინარიდან ტექნიკური წყლის ამოღება მოხდება ტუმბოს საშუალებით (წარმადობა 30 ლ/წმ). მდინარიდან ამოღებული წყალი, 70 მეტრის სიგრძის (დიამეტრი 30 მმ) მქონე, პოლიეთილენის მილის საშუალებით მიეწოდება სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარს, რომელზეც დამონტაჟებულია 200 ლიტრი მოცულობის წყლის რეზერვუარი. აღნიშნული რეზერვუარიდან წყალი გამოყენებული იქნება მსხვრევის დროს, კერძოდ ინერტული მასალების დასანამად. წყლის სამარაგო რეზერვუარის შევსება დღის განმავლობაში მოხდება 5-ჯერ. სამსხვრევ-დამახარისხებელ საწარმოში გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა საათში იქნება დაახლოებით 0,125 ტონა, რაც დღის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 1 ტონას, ხოლო საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 288 ტონას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტზე ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, როგორც აღინიშნა წყალი გამოიყენება ინერტული მასალების მსხვრევის დროს ქვიშა-ხრემის დანამვისთვის. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების - არაორგანული მტვრისა და ნახშირწყალბადების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროები და გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება

მოხდება სველი მეთოდით, რაც უზრუნველყოფს მსხვერვის დროს წარმოქმნილი არაორგანული მტვრის რაოდენობის შემცირებას. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, როგორც უახლოესი საცხოვრებელი სახლის (940 მ), ასევე 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. შესაბამისად, საქმიანობის განხორციელების ეტაპზე (დაახლ. 12 თვე) ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებები და ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, მათი ჯამური ხმაურის მაქსიმალური დონე იქნება 65 დბ. როგორც უკვე აღინიშნა, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოო დანადგარის განთავსებიდან დაშორებულია 940 მ-ით. ამასთან, საწარმოს ექსპლუატაციის ვადისა (12 თვე) და სამუშაო რეჟიმის (09:00 - 18:00 სთ) გათვალისწინებით ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც განთავსდება სპეციალურ კონტეინერებში და გაიტანება მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, მათი წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, თუმცა ობიექტის ტერიტორიაზე განთავსდება ჰერმეტიკული კონტეინერი სახიფათო ნარჩენებისთვის და წარმოქმნის შემთხვევაში მისი გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს. საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისგან და ცალკეულ ადგილებში წარმოდგენილია მხოლოდ მცირე ზომის ბალახეული საფარი. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს კარიერს, სადაც უნდა განხორციელდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, შესაბამისად მცენარეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედება პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი არ არის. შერჩეული ტერიტორია და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები არ წარმოადგენს ცხოველთა საბინადრო ადგილებს, შესაბამისად მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პროექტი არ ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და მასზე რაიმე სახით ზემოქმედებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის ძირითადი ნაწილი, სადაც უნდა წარიმართოს საწარმოო პროცესები, მოიხრეშება. ტერიტორიიდან პროდუქციის გასატანად გამოყენებული იქნება საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალი, რომელიც უერთდება მიწის ნაკვეთამდე შემომავალ გრუნტის გზას. აღნიშნული გზა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს დამატებით სარემონტო სამუშაოებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოდან 500 მ-ის რადიუსში ანალოგიური ტიპის საწარმოო ობიექტი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად მოსალოდნელი არ არის კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის

მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხორშის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ჯორჯიან ენერჯი გრუპის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯორჯიან ენერჯი გრუპ“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯორჯიან ენერჯი გრუპს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯორჯიან ენერჯი გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო